ხელშეკრულება N 507

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(ელექტრონული ტენდერი **SPA150015063**)

ქ. თბილისი "07" აპრილი" 2015წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, გია გულუას ქუჩა №8, საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, კოდი - TRESGE22, საიდ. კოდი - 204383176), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენილი საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის მოადგილის **თამაზ ნინუას** სახით და

მიმწოდებელი: შპს „პროფიმპექსი", საიდენტიფიკაციო კოდი 202463592

მისამართი, ტელეფონი: ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის №74 ბ.21 ტელ: +99577522748;

დირექტორი: ბორის გასპარიანი

საბანკო რეკვიზიტები: სს „პროკრედიტ ბანკი" ბანკის კოდი: MIBGGE22; ანგ.ანგარიში: GE61PC0133600100052287

ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები", ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1 გამოყენებული ტერმინების განმარტება

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება" _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე", „კვირა", „თვე" _ კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „საქონელი" _ წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

1.7 „ტექნიკური დოკუმენტაცია" - მიმწოდებლის მიერ **SPA150015063** ელექტრონულ ტენდერში სატენდერო წინადადებით წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია, რომელიც ერთვის ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2 ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების დანართი N1-ით განსაზღვრული დაქტილოსკოპიური პროგრამული უზრუნველყოფის „DACTO-2000"-ს განახლების შესყიდვა (CPV48500000).

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 **ხელშეკრულების ღირებულებაა:** 179000 (ასსამოცდაცხრამეტიათასი) ლარი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4 მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდება დანართი №1-ში მითითებულ ვადებში და ადგილზე;

ბ) გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი;

გ) ხელი შეუწყოს შემსყიდველს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელებაში და განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5 ხარისხი და გარანტია

5.1 მიწოდებული საქონლის ტექნიკური მახასიათებლები უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულების N1 დანართში მითითებულ მაჩვენებლებს და ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

5.2 საქონლის საგარანტიო ვადაა მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან დანართი N1–ში მითითებული ვადის შესაბამისად.

6 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

6.1 შემსყიდველის მიერ მისაწოდებელი ან/და მიწოდებული საქონლის მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება პერიოდულად, როგორც საქონლის მიწოდების დროს, ისე ამ ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლს განახორციელებს **შსს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მთავარი სამმართველოს მომარაგების სამსახურის მთავარი სპეციალისტი ლაშა ნარსია, ხოლო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილია შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკურიო მთავარი სამმართველოს დაქტილოსკოპიური ექსპერტიზის განყოფილების უფროსი ირაკლი ვერულაშვილი.**

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნდებული საქონელი, მიმწოდებელი ვალდებულია წერილობითი შეტყობინებიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში გამოასწოროს წუნი ან თუ წუნის გამოსწორება შეუძლებელია და შემსყიდველს უკვე გადახდილი აქვს საქონლის ღირებულება დაუბრუნოს შემსყიდველს აღნიშნული საქონლის ღირებულება.

6.4 თუ ამ მუხლის 6.3 პუნქტით გათვალისწინებული წუნის გამოსწორების ვადა სცილდება ხელშეკრულების მოქმედების ვადას, მიმწოდებლის მიერ წუნის გამოსწორება, ხოლო წუნის გამოსწორების შეუძლებლობის შემთხვევაში თანხის დაბრუნება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე.

6.5 შემსყიდველი უფლებამოსილია განაცხადოს უარი უხარისხო (წუნდებული), არასათანადოდ შეფუთული, საქონლის თანმხლები აუცილებელი დოკუმენტაციის გარეშე ან დაგვიანებით მიწოდებული საქონლის ნაწილის ან მთლიანი მოცულობის მიღებაზე.

6.6 საქონლის მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6.7 ამ მუხლის 6.2 პუნქტში მითითებული პირ(ებ)ის მიერ მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერით, საქონლის მიღებასთან ერთად დასტურდება ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განხორციელებაც.

6.8 იმ შემთხვევაში, თუ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს, რაც არ ჩაითვლება მიმწოდებლის მხრიდან ვადის გადაცილებად.

7 ანგარიშსწორება

7.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა _ ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა _ უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

7.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული საქონლის ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და თანმდევი დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, სასაქონლო ზედნადების) გამოწერიდან/წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში, მაგრამ არაუგვიანეს 2014 წლის 31 დეკემბრისა, თუ კი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

8 ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-10 მუხლის შესაბამისად.

9 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანართი №1-ით განსაზღვრული საქონლის მიწოდების ვადების გადაცილების შემთხვევაში ან 6.3 პუნქტით განსაზღვრული პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი ან/და წუნდებული საქონლის ღირებულების 0.2%-ის ოდენობით.

9.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11 დავების გადაწყვეტა

11.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

11.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

12 ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება, თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, ან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში, რის შესახებაც შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს.

12.2 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი პასუხს არ აგებს ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად გამოწვეული ზიანისათვის, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

12.3 ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

12.4 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან.

13 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ამ დოკუმენტის თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს **2016 წლის 31 იანვრის** ჩათვლით.

13.2 წინამდებარე ხელშეკრულების 9.1 პუნქტი მე-5 და მე-6 მუხლები მოქმედებენ ამ ხელშეკრულების 5.2 პუნქტით განსაზღვრული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

14 ფორს-მაჟორი

14.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

14.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15 სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი შემსყიდველს.

16 მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო, **მის:** ქ. თბილისი, გია გულუას ქუჩა №8; **საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა, კოდი TRESGE22, ს/კ - 204383176.	**შპს „პროფიმპექსი",** **მის:** ქ. თბილისი, წინამძღვრიშვილის №74 ბ.21 **ტელეფონი:** +99577522748; **საბანკო რეკვიზიტები:** ა/ა № **GE61PC0133600100052287** **სს „პროკრედიტ ბანკი"** ბ/კ MIBGGE22, ს/კ: 202463592
შსს საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის **დირექტორის მოადგილე** **თამაზ ნინუა**	**შპს „პროფიმპექსის"** **დირექტორი** **ბორის გასპარიანი**

დანართი №1 2015 წლის "07" აგვისტო "№507" ხელშეკრულებასთან

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	საქონლის ძირითადი მახასიათებლები (მწარმოებლის და წარმოშობის ქვეყნის მითითებით)	განზ.	რაოდ.	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	გარანტია	მიწოდების ვადა	მიწოდების ადგილი
1	დაქტილოსკოპიური პროგრამული უზრუნველყოფის ,,DACTO - 2000"-ს განახლება	* პროგრამის განახლება იძლევა საშუალებას განახლდეს შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში არსებული დაქტილოსკოპიური პროგრამა "DACTO-2000-5.2.1"; * პროგრამული უზრუნველყოფა გამოყენებადია როგორც ფიზიკური, ასევე ვირტუალური სასერვერო ინფრასტრუქტურის პირობებში; * თავსებადი იქნება "WINDOWS 7"-ის ოპერაციულ სისტემასთან; * თავსებადი იქნება დაქტილოსკოპიურ სკანერ - "PAPILLON DS 45M"-თან; * პროგრამის არსებულ ვერსიასთან შედარებით გააჩნია დამატებითი ფილტრები, რომლებიც გააუმჯობესებს ხელის ანაბეჭდების გამოსახულების ხარისხს; * პროგრამის არსებულ ვერსიასთან შედარებით გაუმჯობესებულია დაბალი ხარისხის (გამუქებული, ბუნდოვანი) ხელის ანაბეჭდების "ჩონჩხის" აგების ალგორითმი; * გააჩნია დაქტილობარათზე ხელის გულის ამორჩევის შესაძლებლობა კოდირების გარეშე; * პროგრამის არსებულ ვერსიასთან შედარებით გაუმჯობესებულია ხელის გულის კოდის შემოწმების და შესწორების ალგორითმი; * პროგრამას გააჩნია გამოთვლების სერვერის მოდული; * მოყვება ქსელური გამოთვლების მოდული 10 ცალი; * მოყვება მონაცემების შეყვანის ავტომატიზირებული სამუშაო ადგილის მოდული - 20 ცალი; * მოყვება მონაცემების შემოწმების ავტომატიზირებული სამუშაო ადგილის მოდული - არანაკლებ 20 ცალი; * მოყვება ადმინისტრატორის ავტომატიზირებული სამუშაო ადგილის მოდული - 2 ცალი; * მოყვება არაქსელური სკანირების ავტომატიზირებული სამუშაო ადგილის მოდული 5 ცალი; * განახლება მოხდება "DACTO-2000"-ის მწარმოებელი კომპანიის ავტორიზებული სპეციალისტის მიერ; * მწარმოებელი: "TODES" Ltd. * წარმოშობის ქვეყანა: ბელარუსია.	ცალი	1	179000.00	179000	24 (ოცდაოთხი) თვე (შეკეთება ან შეცვლა ახლით შეტყობინების მიღებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.	პროგრამის მიწოდება, სრული ინსტალაცია და ტრეინინგი ხელშეკრულების გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.	ქ. თბილისი, ბ. გულუას ქ. №8
სულ:						179000.00			

შემსყიდველის მხრიდან:

შსს საფინანსო–სამეურნეო
დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე

თამაზ ნინუა

მიმწოდებლის მხრიდან:

შპს "პროფიმპექსის"
დირექტორი

ბორის გასპარიანი